

კომპიუტერული ლექსიკა

სოფიკო მარგველაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მახაროზიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო მარგველაშვილი

14. 07. 2016 წელი

აბსტრაქტი

კომპიუტერული ლექსიკა

დღეს ტექნოლოგიების და გლობალიზაციის საუკუნეში კომპიუტერის აქტიურმა გამოყენებამ ყოველდღიურ საქმიანობასა და მეტყველებაში ქართულში შემოიტანა უამრავი კომპიუტერული ლექსიკური ერთეული. ზოგჯერ ვერ ხერხდება ამ სიტყვათა/ტერმინთა სრული ადაპტაცია. ამის გამო, სიტყვები ისე შემოდის ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, როგორი ჟღერადობითაც საწყის ენაში გვხვდება და ასევე, ზოგიერთი სიტყვა შემოდის უთარგმნელად, იმისდა მიუხედავად, რომ მიმღებ ენაში ამ სიტყვათა სათანადო, შესაბამისი მნიშვნელობა არსებობს.

სამაგისტრო კვლევის მიზანს წარმოადგენს თუ როგორ არის ათვისებული კომპიუტერული ტექნიკის შესაბამისი ლექსიკა, რა გზას გადის ქართულში, როგორ მკვიდრდება, რა ფორმებია შემოსული და ამ სიტყვების ათვისების პროცესი როგორ მიმდინარეობს. ამისათვის შევიმუშავეთ უცხო სიტყვათა რეგისტრაციის მოდელი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ნიმუშს იმასა, თუ როგორ შეიძლება გავაკეთოთ კომპიუტერული ლექსიკური ერთეულების მიგრაციული ლექსიკონი. შევარჩიეთ ნებისმიერი ასი კომპიუტერული სიტყვა, გადავამოწმეთ მათი არსებობა ქართულ ლექსიკონებში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი), მოვიძიეთ ამ სიტყვათა სტატისტიკა ქართული ენის ეროვნულ კორპუსში, ვთარგმნეთ ოქსფორდისა და ვებსტერის ინგლისურენოვან ლექსიკონებში კვლევაში წარმოდგენილი სიტყვათა განმარტებები, პროფესიულ ჭრილში ვნახეთ ამ სიტყვების მნიშვნელობები კომპიუტერულ ტერმინოლოგიის განმარტებით ლექსიკონში და თითოეულ სიტყვაზე გავაკეთეთ მოკლე ლაკონური რეკომენდაცია მათი სწორად გამოყენების და ამ სიტყვების მიღების თაობაზე. ჩვენ მიერ შექმნილი მინი ლექსიკონის მიხედვით და მასში აღმოჩენილი მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ქართულში რომელი კომპიუტერული ლექსიკური ერთეული შეიძლება იყოს პასპორტიზირებული.

კვლევისას გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი სამი ასაკობრივი ჯგუფის ანკეტირება რამდენიმე კომპიუტერული სიტყვის მნიშვნელობის ცოდნის შესამოწმებლად. ასევე, რაოდენობრივად გამოვიკვლიეთ თუ რამდენი სიტყვა იყო პასპორტიზირებული ქართულ (ქეგლ, ქეოლ) ლექსიკონებში და კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ საკვლევად აღებული ასი სიტყვიდან 82-82 სიტყვა არ არის რეგისტრირებული ქეგლ-სა და ქეოლ-ში, ხოლო ქართული ენის ეროვნულ კორპუსში კი 20-კომპიუტერული ერთეული.

კვლევისთვის აღებული სიტყვებიდან ზოგიერთი გამოყენების თვალსაზრისით წარმოადგენს ბარბარიზმს და მათი მეტყველებაში გამოყენება, ვფიქრობთ, არ არის სასურველი, რადგან სიტყვები, რომლებსაც ქართულად მოეპოვებათ შესაბამისი მნიშვნელობა და მათი ქართული თარგმანი სავსებით გამოხატავს კომპიუტერულ ჭრილში ამ სიტყვათა გამოყენების ფუნქციას, არ არის სასურველი გამოიყენებოდეს უთარგმნელად.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით უნდა გაგრძელდეს კომპიუტერულ სფეროსთან დაკავშირებული სიტყვების სრული რეგისტრაცია. მსგავსი მიდგომა მოგვცემს საშუალებას უფრო ფართოდ ვიკვლიოთ კომპიუტერული ლექსიკური ერთეულები და მასშტაბური კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდება დადგინდეს იმ სიტყვათა სია, რომლებიც პასპორტიზირებული იქნებიან ლექსიკონებში, და შესაბამისად, მათი მეტყველებაში გამოყენებაც არ შეეწინააღმდეგება ქართული ენის ენობრივ ნორმებს.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: კომპიუტერული ლექსიკა, ლექსიკოლოგია, პასპორტიზირება.